რევოლიუციო
879.
მუზეუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი, 1 იანვარი 1910 წ. ფასი ყველგან 10 კ.



№ 4 ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი № 4

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ., ვინც ამ თავიდან გამოიწერს და იანვრის გასვლამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს პრემიათ მიეცემა

სტეპნიაკის მოთხ. „სახლი ვოლგის ნაპირზე".

წიგნი თებერვლის დამლევს დაურიგდება ხელის მომწერლებს

შინაარსი: **ვ. მალაქიაშვილი**—ლექ. საახალწლო იმედი. **ფარ-მანი**—მოგონება, **ქ. გოგოლაძე**—ლექ. სასაფლაოზე; **—ელი**—ეტიუდი—მომილოცნია; **ივ. გომ. რთელი**—სალიტერატურო მიმოხილვა; **ბ. გელა**—ლექ. ხმები; **ირეთელი**—ურწმუნოს დღიურიდან; **ნ. ზომლეთელი**—ლექ. ამონაკვნესი; **ფ. რუშაველი**—ლექ. პრ. მიყვარს ადგილი; **დ. თურდოსპირელი**—ლექ. ბაღში; **ნარკანი**—მოთხ. ფხიზელი დარაჯი.

საახალწლო იმედი.

შავო ყორანო, შორს, შორს გასწიე!
არ დაგინახო, ქვესკნელს ჩაფრინდი!
კვლავ არ დამძახო ყვა-ყვა საზარი,
არ მოაყენო გულს შავი ბინდი.

—

შეხე, იმედი შორით მოფრინავს,
მოთინათინობს სხივთა მფრქვეველი...
გასწი, გაფრინდი, თავს ნუ დამჩხავი!
იმედს შევხვდი გულით მოველი...

—

მალე იმედო, მოდი, მოიჭერ,
მე უშენობამ ლამის გამაქროს
და ვით ყვავილი ადრე გაშლილი
ყინვამ დამთრთვილოს, უდროთ ამაზროს!..

—

მოფრინდი მალე, ჭაეროვანო,
მომეხმატკბილე, გულს ჩამიკვესე
და განახლების თესლი, სულის დგმაც,
ნაკურთხის ხელით, ღრმათ ჩამითესე...

—

ახ, ტკბილ იმედო! მაშ შენ ჩემთან ხარ?
კიდევ მეწვიე ამ დღეს ბედნიერს?
კვლავ გულში გიკრავ, გულმკერდს გიკოცნი
დაკარგულ სატრფოს, ბაგე მშვენიერს?..

—

ბედნიერი ვარ მე შენს კალთაში,
ნიავს მივეცი შავი წარსული!..

მინდა შენ გეუმო, თავს შემოგევლო,
შენით ვათრთოლვო დღეიდან გული...

მო, ბაგე, ღმერთო, ბაგეს მივაკრათ,
ფასკუნჯის ფრთებით მაღლა ავფრინდეთ,
ცის კაბადონში ხომლი ავანთოთ
სხივებათ ვიქცეთ, ტანჯულებს მივწვდეთ...

ციური ნანა ერთათ დავმღეროთ,
სხივებით ვაშროთ ცრემლების წყარო,
გუნდრუკათ ვექცეთ ტანჯულთ სამსხვერპლოს
ჩემო ძვირფასო და სულზე მტკბარო...

მაშ ფრთას ფრთა, იმედო, მაგრათ შემოვკრათ,
ზეცას ავსცუროთ, ჩანგი ვაჟღეროთ!..
ახალის ძახილით, ახალის წლიდან
საბედნიერო ჰიმნი დავმღეროთ...

ვ. მალაქიაშვილი

მოგონება

რამდენიმე გულითადმა ამხანაგებმა გადავწყვიტეთ, რომ ერთად შევხვედროდით ახალ წელს. ამ უკუღმართ ცხოვრებაში იშვიათად მოიცლი კაცი დროს გასატარებლათ და ამხანაგებთან გულის გასახსნელათ; ასე რომ ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას დიდის აღტაცებით მოველოდით. ახალ წელიწადის წინა დღით, სწორეთ ახალი ამდგარი ვიყავი და ჯერ კიდევ ხელ-პირი არ დამებანა, რომ ჩემი ოთახის კარები გაიღო და შემოვიდა ბეგლარი, ჩემი საუკეთესო მეგობარი, რომელიც სამი წელიწადია არ მენახა, და რომელიც ეს ეს არ-ს ეხლა დ ბრუნებულიყო ციმბირიდან. (ამ რამდენიმე წლის წინეთ ბეკლარი, ბევრის წვალებისა და ციხეებში თრევის შემდეგ გადასახლებული იქნა ციმბირში)

ჩემს სიხარულს სამზღვარი არ ქონდა: ვიცოდი, რომ საყველა ამხანაგები დიდის სიყვარულით მიეგებებოდენ მას და ამისათვის, პირველი ალერსიანობის შემდეგ, მე პირდაპირ განვუცხადე ბეგლარს, რომ ამაღამ თითქმის ყველა ამხანაგები ერთად გავატარებდეთ საღამოს.

დანიშნულ დროზე კიდევაც შევიყარეთ თავი. ამხანაგებს დიდათ გაეხარდათ ბეგლარის ნახვა.

— ბიჭო, ახალ წელიწადთან ერთად ახალი მოსულიც შეგვეძინაო, ხუმრობდენ ზოგიერთები. ბეგლარს ცოტა სიჩუმე დასჩემებოდა და ძალიან ძვირადაც იცინოდა. ეტყობოდა, ბევრი ჭირ-ვარამის გამოცდა'ს თავისი დაღი დაესვა მისთვის.

თორმეტ საათს ბევრი აღარ უკლდა, როცა უფრო ხნიერმა ამხანაგთაგანმა სტოლზე მიგვიწვია და სტაქნები გაგვამსეპია. ცოტა კიდევ და მოისმა ზარბაზნის ხმა, რომელიც აუწყებდა მთელ ქალაქს ახალი წლის დაბადებას. ისემაც (ასე ეძახდენ ხნიერ ამხანაგს) სტაქანი მოიმარჯვა და ის იყო სიტყვა უნდა დაეწყო..., მაგრამ ჩემ გვერდით მდგომ ბეგლარს უცებ ხელიდან სტაქანი გაუვარდა და მოსხლეტით დაეცა სკამზე. მას თვალები დახუჭული ქონდა, სახე საშინლათ დამანჭოდა და კვდრის ფერი ედო. შეიქნა ერთი აურ-ზაური, ამხანაგები ზოგი გაიფანტენ; ზოგი მივცვივდით და მობრუნება დავუწყეთ. როგორც იყო ბეგლარი გონს მოვიდა და მთხოვა სახლში წამომეყვანა, რაც რასაკვირველია, ავუსრულე.

გზაში ის სულ მთლად გამოკეთდა, ასე რომ, როცა სახლში მივედით, ის თავს ჩვეულებრივათ გრძნობდა.

— კაცო, რა მოგივიდა, რაზე დაგვიხეთქე გულები? შევეკითხე მე ცოტა საყვედურის კილოთი, რადგან მწყინდა თან ამხანაგების მიტოვება და თან ის, თუ რატომ წინდაწინ არ გამაგებინა ბეგლარმა თავის შეუძლებლობის ამბავი მეთქი.

— იცი რაგითხრა, მეგობარო, დაიწყო ბეგლარმა: ყველა მოვლენას თავისი მიზეზი აქვს; დღევანდელ ჩემ შემთხვევასაც თავისი მიზეზი აქვს და აი ის მიზეზიც:

„სწორეთ ორი წელიწადია მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა. დიდხანს ეტაპით თრევის შემდეგ მიმიყვანეს № ციხეში. სწორეთ დღეის დღე იყო. დაღლილობის გამო ციხის მიდამოების დათვალიერება ვერ შევძელი. მახსოვს კი, რომ ციხეს კარგა მაღალი გალავანი ქონდა შემორტყმული, ასე რომ გაშენებული სახლის მეორე სართული ძლივს მოსჩანდა. როგორც ბოლოს შევიტყვე იქ სამხედრო კლუბი ყოფილიყო გაშენებული. მე და სამი სხვაც ერთ პატარა კამერაში მოგვათავსეს, დაღლილობის გამო მე არ გამიხდია, ისე მივეგდე „ნარზე“ და დავიძინე. ჩემ ამხანაგებსაც ასე მოვუვიდათ.

უცებ საშინელი ხმაურობა გამომღვიძებს... ეს არის ახალ-წლის ზარბაზანი.

ეს კი ჩვენ ეზოშია, ეტყობა. ვაღვიძებ ამხანაგებს, და ვიწყობთ თათბირს რას უნდა ნიშნავდეს ეს ხმა? თითქო ეს ხმა გზას უვლის და ჩვენს ფაჯარას უახლოვდება..., თან და თან, თან და თან... აგერ ჭრაქის სინათლეც გამოჩნდა. ოხ, ღმერთო ჩემო ეს რა არის? თვალებს ვისრეს ხე-

ლით, რომ დავრწმუნდე, ხომ არაფერი მელანდება ორხივეს ხმა გაკმენდილი გვაქვს, განძრევა გვიჭირს, ორხივეს რაღაც გვიჭერს ყელში.. ვხედავთ ღვდელს, შავით შემოსილს, მას უკან ბორკილებიანი ახალ-გაზდა მიყობა, იქით აქეთ ხიშტიანი სალდათები. მოსამსახურე რკინის კარებს აღებს... ეს არის „შავი ეზო“. ეს რა მოსჩანს შავზე ამართული? ოჰ, საშიშროებავ, ეს სარჩობელაა ამ ჭაბუკის ჩამოსახრჩობათ აგებული. ტანში ჟრუანტელმა დამირბინა... ბორკილებიანმა დაინახა ეს საზარელი სანახავი... და უცებ მუხლები მოეკეცა.

მას ძალათ მიათრევინ სარჩობელას საფეხურთან. აგერ ვიღაც წითლიანი კაცი მიუახლოვდა, თეთრი გადააცვა თავზე.. ღვდელმა ჯვარი გადასახა. ახალ-გაზრდამ ერთი ფეხი წინ წადგა და საშინლათ შებღავლა. ოჰ, ამხანაგო! იცი რა იყო იგი ბღავილი? ტანჯული სულის ამოხვრა, საყვარელი დედის მოწოდება, სატრფოსთან გამოსალმება, შიშის ზარის განცდა, ცხოვრებასთან კავშირის გაწყვეტა, სიცოცხლესთან გამომშვიდობება, ვაჟ-კაცური სიკვდილს დანატრება... ერთის სიტყვით ყველაფერი გამოიხატებოდა ამ ბღავილში.

ბეგლარი ისე აღელდა და ისე გაფითრდა, რომ მე შემეშინა, კიდევ არ წაუვიდეს გულიმეთქი.

მე ხელათ წყლიანი სტაქანი მივაწოდე, რომელიც მან მოსვა, მძლავრათ ამოითქვა სული, თითქოს ვიღაც კისერში ხელს უჭერდა და ეხლა განთავისუფლდაო, და განაგრძო.

„იმ ხმის გაგონება და ჩემი წაქცევა ერთი იყო. არ მახსოვს რამდენ ხანს ვიყავი გულწასული, როცა ამხანაგებმა მომასულიერეს, მე ინსტიკტურათ ფანჯარას მივარდი, რომ დამენახა ყველაფერი, რაც ხდებოდა, „შავ ეზოში“ სახრჩობელას ირგლივ ჯარი ეყენა. „შუა ამაღლებულ ადგილზე წითლიანი ჯალათი იდგა და მის ახლო კოწიალობდა თოკით გამოკიდული ადამიანი... გესმით, ადამიანი! ის იხრჩობდა და მშველელი არავინ იყო!.. უცებ ჩამოკიდულმა ფეხები გაიქნია, და ერთი ალბათ ჯალათს მოხვდა... ის ვეფხვივით სწვდა წელში, ჩამოკიდულს, შამოეხვია ტლანქი ხელებით და თითონაც ზედ დაეკიდა... მე ხელ-მეორეთ დამიბნელდა თვალები დატრიალდა ქვეყანა და ვიგრძენ, რომ ვიღაცა სადღაც მიმათრევდა... სხვა აღარაფერი მახსოვს. როცა გონს მოვედი, ყველაფერი გათავებულიყო. მახლობელ სახლიდან კი მოისმოდა მუსიკის ხმა, „მრავალ ჟამიერის“ მღერა და „ურა“ს ძახილი. ეტყობოდა ახალ წელს მხიარულათ ეგებებოდენ. ჩემი ამხანაგები საშინლათ კანკალობდენ და ციებოფლში იყვენ გაწურული. ორი დღე გაგვაჩერეს კიდევ № ის ციხეში და ორი სიტყვაც არ გვითქვამს ერთმანეთისთვის, თუმცა ორხივე ერთსა და იმავეს ვგრძნობდით. სიტყვა უადგილოა იქ, სადაც საერთო გრძნობა გულს გიკლავს ადამიანს!..

აი სწორეთ ზარბაზნის ხმამ მომაგონა ჩემ მიერ გადატანილი მძიმე შემთხვევა. არც მე მეგონა თუ ხელახლა განმიმეორდებოდა გულის და სულის სისუსტე, თორემ დარწმუნებული იყავ, მეგობარო, მე თქვენ ამაღამინდელ ღამეს არ წაგამწარებდით.

დაასრულა ბეგლარმა და თავი ჩაჰკიდა. მეც კრიჭა შეკრულივით ვიჯექი დაგული საშინლად მიცემდა.

ბოლოს ბეგლარმა თავი აიღო და თვალებზე ეტყობოდა რო კარგა ბლომათ ცრემლები დაეღვარა ამ ბედკრულ ადამიანს.

ფარ-მან.

სასაფლაოზე.

აჰა, კვლავ მოველ, სამუდამო სავანევ კაცთა,
შენს მიდამოში სევდიანი, ჩაფიქრებული,
რომ შენ სიმშვიდით, მყუდროებით ოდნავ დავაცხრო
ჩემი ცხოვრების ზღვის ტალღები აღშფოთებული.
მიყვარს მე შენი ნაღვლიანი, მწუხარე სახე,
სევდის აღმძვრელი, მგლოვიარე, დამაფიქვრელი,
იქნებ იმიტომ, რომ მაგ შენი ტურფა მიდამო,
ვით ჩემი გული, არის ჭმუნვის გამომსახველი,
იქნებ იმიტომ, რომ მეც შენებრ დაობლებულვარ,
ვით შენს მწვანე ველს დაჰქრის სიო მიმომფრინავი,
ისე მეც თან მდევს შხამ-ნაღველი, ტანჯვა-ვარამი,
ასე მეც დამქრის სიმწუხარის, სევდის ნიავი...
განვშორდი ქალაქს, ქალაქს მღელავს, ქალაქს მრისხანეს,
სად მსხვერპლათ ქმნილან იმის დამპალ, ბინძურ მორევის,
სად ერთის შვება მეორისთვის ტანჯვა-კვნესაა,
სად მოწყენასაც არ განებებს ტალღა ცხოვრების.
და მოვაშურე ამწვანებულს მაგ შენსა მდელოს,
ჩემებრ მოწყენილს, ჩაფიქრებულს, დაობლებულსა,
მსურს—მას მოვუთხრო ჩემი ტანჯვა, ჩემი ვაება.
გადავცე იმის ცელქსა ნიავს კვნესა გულისა...
ოჰ, რა მწუხარე, ნაღვლიანი ელფერი გადევს,
თუმც არას ამბობ, თუმც არ ყვირი მაგ შენს სევდაზე,
მარა ეს ჩუმი სიმწუხარე, გამოუთქმელი

რომ უფრო მეტად მტანჯველია ყველა ტანჯვაზე...
ალბათ ბევრ ტანჯვის, უმართლობის მოწმე გაგხადეს,
გაგიხსნეს მკერდი, ნიადაგი ამოგითხარეს
და მწარ ცხოვრების ბრძოლის ველზე სულდალეულნი,
უმანკო მსხვერპლნი შენ მოგიძღვნეს, შენ მოგაბარეს...
დიახ, შენც ჩივი უმართლობას, კაცთა სვაობას,
შენც ჩივი იმას და მიტომაც შენც ნაღვლიანობ,
გულში იფარავ, რაც რომ ქვეყნათ მხეცობა ხდება...
მიგიხვდი განა? ხომ ასეა? ხომ მართალს ვამბობ?..
ასე თვარ არის—ვკითხოთ, აბა, აი ამ საფლავს
განმარტოებით, ვით ობოლი, კორდზე რო არი,
ვკითხოთ, რას გვეტყვის, რას გვიამბობს იქ დამარხული,
ვკითხოთ, საფლავში რანაირი ჩაყვა მას ჯავრი?..
„ახალგაზდა ვარ, დედა ვარო სამ წვრილი შვილის,
მოსთქვამს, დასტირის იმა საფლავს წარწერა თავზე ..
ოო, პაწიებო, ახლა სად ხართ? ვის მკერდზე გძინავთ?..
ვინლა დამღერის ტკბილსა ნანას თქვენსა აკვანზე?..
ვინ გითბობთ ნორჩ გულს მშობლიური ტკბილი ალერსით,
როცა ავათ ხართ,—ვინ წუხს თქვენზე, ვინ გაფრქვევთ ცრემლებს,
ვის დაუძახებთ აწი „დედას“, ვინ შეგიცვლით მას,
მშობლის წილ მკერდზე ვის მოავლებთ პაწაწა ხელებს?..
— მარა ეგე ხომ წესი არის ბუნებისაო,
წესი უცვლელი, ყველასათვის გარდაუვალი,—
წამოხმაურდა, წაჩურჩულა ნელმა ნიავმა
და ისევ შეწყდა, გაქრა იმის ხმა იდუმალი...
დიახ, წესი... მარა წესი საშინელების
და ადამიანს კიდევ რა სხვა ტანჯვა სჭიროდა,
რომ ცხოვრებასა სხვა ვაებაც წარმოუშვია,
თითქო სიკვდილი კაცთ სარბევათ აღარ კმაროდა!..
ჩუ, მოსთქვამს ვიღაც... ნაღვლის ხმები, ვით გლოვის ზარი,
წყნარსა მიდამოს გულში ეკვრის, თავზე ევლება
და იმ მწარ ხმებზე, ტანჯვის ხმებზე, სიავის ხმებზე
მწუხარე არე უფრო მეტად ნაღვლიანდება.
გულზე მიკვრია ახალ საფლავს ტანჯული დედა,
გულ-მკერდსა იხოკს, თმებს იწეწავს, სახეს იკაწრავს
და, გამოუთქმელ ტანჯვისგან აღმოხეთქილი,
მდუღარ ცრემლებით პირმშო შვილის რწყავს სამუდამო სახლს...
ხან დედობრივი სიყვარულით ეალერსება,
მიწას უსწორებს მშობლიური მზრუნველ ხელებით,
ამბავსა ჰკითხავს: როგორ არის—რაც მას მოშორდა,
ხან კი მიმართავს გულის მომკვლელ საყვედურებით:
„სად გამეპარე, რათ მომშორდი, ნუგეშო შვილო,
რატომ დამტოვე ასე ობლათ ტანჯული დედა,
აწ რაღათ მინდა მე უშენოთ ქვეყნათ სიცოცხლე,
ნუ თუ ტანჯული დედა შენი არ გებრალება?..
მარა, იქნება, აქ გერჩივნა, ჩემო სიცოცხლევ,—
დასტირის თავზე დედა თავის საყვარელ შვილსა,—
აქ ხომ არავინ არ გაწუხებს, დედის იმედო,
აქაც ხომ არ ცდი სიმწუხარეს, სიცივს, შიმშილსა?..“
ჰოი, მშობელო, რამდენია ამ მიდამოში,
ვინც რომ შიმშილმა აქ უდროოთ გამოამგზავრა,
სასტიკ ცხოვრების სიდუხჭირემ ნაპირს გარიყა
და აქ შავს მიწას სამუდამოთ ამოაფარა?..
რამდენი არის—ვინც ვერ ჰპოვა ბინა ამ ქვეყნად,
ველარ გაუძლო სიმწუხარეს, ტანჯვა-ვაებას
და თვითვე მოსპო იგი ტანჯვა, იგი ვაება,
ბოლო მოუღო მის სიცოცხლის დამტანჯველ ღელვას...
რამდენი არის, დედის ცრემლი არ გაჰყოლია,
მახლობელთ ზრუნვას ვერ ეღირსა უკანასკნელათ
და ცხოვრებაში მუდამ მარტო, მუდამ ობოლი
ობლათ ჩავიდა სამარეში, დაუტირებლათ!..
თავზე ვადგივარ ათს სამარეს გამწკრივებულსა,
აქ შრომის შვილნი ერთ ორმოში განისვენებენ,
იმათ არ უმკობს სამარეზა ძვირფასი ძეგლი,
იმათ საფლავსა გვირგვინები არ ამშვენებენ ..
ან რათ სჭირიათ?.. სულ მეტია ეს ხომ იმათთვის:
იმათი ძეგლი—თვით იმათი საფლავი არი
და მათი ხსოვნა იმათ მოძმეთ გულში ჩაჭრილი
სამარადისო, არასოდეს დასავიწყარი!..
ჰოი, გმირებო, უმართლობის, შიმშილის მსხვერპლნო,
უმადურ შრომით ოფლსა ღვრადით, მიწას ალბობდით,
სისხლსა აქცევდით ლუკმა-პურის მოპოებისთვის
და შიმშილს, სიცივს, წყურვილს მაინც ვერ იშორებდით!..
და როცა ტანჯვამ გადმოხეთქა ყოველგვარ საზღვარს
და მივხვდით რა რომ დამუნჯებით არ-რა კეთდება,—
ხმა აღიმაღლეთ და საერთო დიადსა საქმეს
მტლათ დაუდევით თქვენი თავი, თქვენი ცხოვრება...
თქვენ მოკვდით, მარა ეს სიკვდილი არ არს სიკვდილი,
თქვენი სახელი ხალხის გულში მარად იქნება,..

და თქვენი საქმეც მოვა დრო და აყვავილდება,
ფოთოლს მოისხამს, გაიზდება და გადიდდება...
და როცა დაჰკრავს ჟამი იგი, დიდების ჟამი,
გაქრება ბნელი, მზე სიმართლის ალმო ბრწყინდება—
პატიოსანნი თქვენი ძვლებიც იგრძნობენ იმას
და მის სხივნი თქვენ გვირგვინათ შემოგადგებათ!.

კ. გოგოლაძე

მომილოცნია

(ეტიუდი.)

დასავლეთის ცივი ქარი ზუზუნ ზუზუნით აყრიდა ფიფქ თოვლს მიდუმებულ სოფელს. ხან (სეთი სიძლიერით და გაკაპასებული წამოუბერავდა და თოვლის კორიანტელს აყენებდა, თითქო მთელი სოფლის დასამარება უნდაო. სოფელში მკვდრული სიჩუმე იყო. არსაიდან არავითარი ხმაურობა არ ისმოდა. მხოლოდ აქა იქ მბჟუტავ სინათლეზე შეატყობდით, რომ ჯერ კიდევ არ, ეძინათ.

თოვლისაგან მთლად თეთრათ შეფიფქული ბეკო ბილიკაძე მიადგა თავის სახლის კარებს.

—სალომე! სალომე! გააღე ჩქარა კარები,—საჩქაროთ შესძახა მან და ფეხების ბაკუნი დაიწყო, რომ თოვლი ჩამოებერტყა.

კარები საჩქაროთ გაიღო. ბეკო სახლში შევიდა. ცოლი მხაირულათ მიეგება და მზრუნველობით თოვლი ჩამოუბერტყა, მხარზე გადებული ღორის ბეჭი ჩამოართვა და კუთხეში გობზე დასდო.

—შეგცივდა გენაცვალე? შენი ჯავრით აღარ ვიყავი, რათ დაიგვიანე ასე? შეეკითხა ცოლი და სიყვარულით აღსავსე თვალები მიაშტერა.

ბეკო ჩამოჯდა იქვე მოგუზგუზე ცეცხლთან პატარა ხის სკამზე და გაციებული ფეხები სიამოვნებით მიუშვირა ცეცხლს.

—ხომ არ შეგეშინდა გენაცვალე? ისეთი ცუდი ამინდია, რომ მთელი ორი საათია მოვდივარ და ძლივს მოვახწიე.

—მოშივებული იქნები; გინდა ვახშამი მოგიტანო?

—არა, ჩემო სალომე ჯერ ცოტა დავისვენო და მერე ვივახშმოთ. დღეს ხომ იცი წმინდა ბასილეს დღეა და ტკბილად უნდა ვჭამოთ ვახშამი.

ბეკო ბილიკაძე ერთ საუკეთესო ახალგაზდათ ითვლებოდა მთელ სოფელში. ისეთი მუყაითი და დაუზარელი მუშა იყო, რომ მთელ სოფელში ტოლი არ ყავდა. ერთ უბედურ წელიწადს სოფლად ყვავილი გაჩნდა და სხვებთან ერთათ ბეკოს დედამაც გამოასალმა წუთის სოფელს. დარჩა ბეკო ღვთის ანაბარა, ობლათ მარტოთ მარტო. მისთვის მთელ ქვეყანაზე აღარივინ იყო. ამ დროს ის თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ძლივს იქნებოდა. ის დადგა მოჯამაგარეთ ერთ მეზობელ აზნაურთან და ამავე დროს თვალ ყურს ადევნებდა მამის დატოვებულ ოჯახს, რომ არ დანგრეულიყო. რამდენიმე თვის შემდეგ შემოღობა გავერანებული ეზო, პატარა სამზარეულო სახლი ფიჩვის ყავრით გადახურა. გესიამოვნებოდათ, როცა მის ეზოში ჩაიხედავდით. ყველაფერს სიხარულის და მზრუნველობის ხელი ეტყობოდა. თავისუფალ დროს ბეკო მუყაითათ მუშაობდა თავის ოჯახში. სამი წლის შემდეგ, როცა ცოტაოდენი ფულები მოაგროვა, მოჯამაგირობას თავი დაანება და ოჯახს მიუბრუნდა. მუყაით გამრჯელ ბეკოზე სოფლის ბევრ ახალგაზდა გოგოს ეჭირა თვალი, მაგრამ ბეკომ ყველას ახალგაზდა, ცქრიალა სალომე არჩია და დაქორწილდა კიდეც. ამ დღიდან ბეკოს ოჯახს სიცოცხლე დაეტყო. სალომე ციბრუტივით ტრიალებდა და ისე უვლიდა ოჯახს, როგორც საკუთარ შვილს. ორივე მუყაითად შრომობდენ და ცხოვრობდენ ტკბილათ. მათ თავდავიწყებამდე უყვარდათ ერთმანეთი. მათ ტკბილ ცხოვრებას ბევრი შენატროდა.

ბეკომ გაითბო გაციებული ხელ ფეხი, ტანში რაღაც გამოუთქმელი სიამოვნება იგრძნო და სიყვარულით სავსე თვალები სალომეს მიაპყრო.

—სალომე! მოდი აქ ჩემთან.

სალომე მიუახლოვდა, ბეკომ ხელი მოხვია და გატაცებით დაეწაფა მის ცხელ ვარდივით ტუჩებს.

—მოგწყინდა გენაცვალე! შეგეშინდა?

—გული გამისქდა, ასე მეგონა ველარ გნახავ მეთქი.

— რამოდენა ღორის ბეჭი მოვათრიე ხომ ხედავ? ხუმრობა საქმეა ამის მოტანა? გამიჭირდა წამოღება და იმიტომ დამაგვიანდა.—იხუმრა ბეკომ.

—მართლა რამოდენია,—ღიმილით წარმოსთქვა სალომემ და ღორის ბეჭი ხელით ასწია—როდის უნდა შევჭამოთ ამდენი?

—ნუ გეშინია კი შევჭამთ, ჩემო სალომე, დავშაშხოთ და ვჭამოთ ნელ ნელა. ხაჭაპურები გამოაცხე?

—კი, შენი ჭირიმე, ყველაფერი მზათ მაქვს. ღვთის მოცემული აღარაფერი გვიკლია.

—ეხლა კი შევექცეთ ვახშამს, ჩემო სიცოცხლე, თუ რამე გაქვს მოიტანე. ძილის დროა, საცაა გათენდება კიდეც.

სალომე საჩქაროდ წამოდგა, მოიტანა ხის პატარა სუფრა და დადგა ცეცხლის პირათ. მოიტანა ხაჭაპური, შემწვარი ქათამი, მჭადი და გააწყო

სუფრა. ბეკომ გვერდით დოქით ღვინო მოიდგა და ორთავენი ტკბილათ შეექცენ ვახშამს. გაათავეს ვახშამი.

—სალომე, ხვალ დილით გასალოცი მოამზადე, უნდა გავილოცოთ. სხვებზე ნაკლები ხომ არ ვართ.—ის წამოდგა თავისი სანადირო თოფი გასინჯა და კუთხეში მიაყუდა, რომ დილით გაესროლა.

სალომემ დააწყო გობზე ხაჭაპურები, ქათამი, ღორის ბეჭი და სხვა და დადგა იქვე ცეცხლის პირათ. ცოტა ხნის შემდეგ ორივე ჩაწვა და ტკბილ ძილს მიეცენ. ცეცხლი მიილულა, ოთახში ჩამობნელდა.

ტკბილათ სძინავთ ბეკოს და სალომეს. მათი გული დამშვიდებით სძგერს. დილით ადრე სიხარულით ადგებიან, გრძნობით ჩაკოცნიან ერთმანეთს და ახალ წელიწადს მიულოცავენ.

გაკაპასებული ქარი დაჭრილ ნადირივით ღმუის და უფრო და უფრო აყრის თოვლს. სოფელში სძინავთ, თეთრ სუდარში გახვეულ სოფელს გამძვინარებული სტიქია დაპატრონებია და განადგურებას უქადის.

ბეკოს ეზოს კარები ფრთხილათ გაიღო და ეზოში რამდენიმე თოფიანი მხედარი შევიდა.

უცბათ კარები ძლიერათ დააბრახუნეს, ბეკოს გამოეღვიძა, ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო და ვერ გაეგო რაში იყო საქმე.

— სალომე! სალომე! ადე ჩქარა გავილოცოთ კიდეც გათენებულა. ვიღაც მეზობელი მოვიდა— გამოაღვიძა მან ცოლი.

სალომემ თვალები დააჭყიტა, ვერ გაეგო რა ამბავი იყო.

კარები უფრო ძლიერათ დააბრახუნეს.

ბეკო ეხლა გამოერკვა, მან იგრძნო, რომ რაღაც კარგი ამბავი არ იყო.

ის საჩქაროთ მიიჭრა კარებთან.

— ვინა ხართ?

— გაიღე ჩქარა კარები!—მოისმა გარედან ბრძანების ხმა.

ბეკომ რაღაც იგრძნო, ის შედგა და არ უნდოდა კარების გაღება. კარების ბრახუნი ისევ განმეორდა. გარედან მოისმა რამდენიმე მრისხანე ხმა.

ბეკომ გააღო კარები.

სახლში შემოვიდა ნაცვალი მაქსიმე და რამდენიმე თოფიანი მხედარი. ბეკო იქვე გაქვავდა, ენა ვეღარ დასძრა.

— რას გაჩუმებულხარ? არ გველოდი? არ იცოდი, რომ დრამის ფულს გადაგახდევინებდენ? ათასჯერ რომ მომათრიე და ნებით არ მომეცი ეხლა ძალათ წაიღებენ. შეგრჩებოდა გეგონა?— გესლიანათ უთხრა ნაცვალმა და სახლი დათვალიერა.

სალომე, თითქო მკვდარიაო, ისე განაბულიყო ლოგინში და შიშისაგან დაჭყეტილი თვალები ხეედრებისთვის მიეშტერებია.

— ჰა, რას გაჩუმებულხარ, ჩქარა ფულები. ხომ ხედავ შენი გულისთვის ქუჩაში ვიოიენებთ ახალ წელიწადს. შენ აქ არხეინათ იქეიფებ და ჩვენ მთელი სოფელი უნდა შემოვიაროთ. არ გადაიხადეთ ნებით და ახლა ზეკუცია ჩამოაყენეს და არჩინეთ.

—მაქსიმე, შენი ღვთის გულისთვის ორი დღე მაცალე. თავი რომ მოჭრა ეხლა ერთ კაპეიკს ვერ ვიშოვნი. ახალი წელიწადი გამათენებიე და მერე ჩემის ხელით მოგიტან.

—არ მაქ, რომელია? თუ ფული არ გაქ ჩვენ ვიშოვნით წასაღებს ბრაზიანათ წარმოსთქვა მან და მხედრებს ანიშნა.

ხელათ მოედვენ სახლს. გადოათრიეს გობიდან სალომეს დამზადებული საახალწლო ხაჭაპურები და ქათმები. გადმოიღეს ჯამ ჭურჭელი, ბეკოს ჩოხა ახალუხი, სალომეს კაბა და ერთათ მოუყარეს თავი წასაღებათ. ბეკო გაშეშებული იდგა: გულზე ცეცხლი ედებოდა ამ სანახაობით და გიჟივით თვალებს აქეთ იქით ატრიალებდა.

მხედრებმა შეამჩნიეს სალომე. ერთი მათგანი მივიდა საბანი გაეხადა და კისერ გაღერილი მსუნაგი თვალებით დააშტერდა. მისმა სილამაზემ და ბროლივით გულ-მკერდმა ყველანი დაათრო, კისერი დაიგძელეს და თითქო შეეშა უნდათ ისე დაეშტერდენ. ეს საკმარისი იყო ბეკოსთვის. ის ვეფხვივით გადახტა და რაც ძალი და ღონე ქონდა მხედარს მაგრა გაარტყა, როცა მან თავი დახარა სალომეკენ.

მხედრი დაბარბაცდა.

—საზიზღრებო! მხეცებო! სასოწარკვეთილი ხმით დაიღრიალა მან მიირბინა კუთხეში და თოფს ხელი წამოაკლო ის იყო ჩახმახს დააკენმინა, რომ ერთი მხედრისთვის გული გაეხვრიტა, როცა ის სალომეს გადაეხვია, რომ მეორემ ხელი აუკრა, თოფმა დაიჭექა და ტყვია ზუზუნით ჰაერში წავიდა. მხედრები გამხეცთენ პირზე დორბლი მოადგათ. გაიპრიალა ჰაერში ხმალმა და თავგაჩეხილი ბეკო იქვე დაეცა. ერთი დაიკვნესა და თვალები დახუჭა. მხედრებმა ლოგინიდან გადმოათრიეს გულ წასული სალომე და სისხლში მოსვრილ ბეკოს წინ აწამეს, მხეცური ჟინი დაიკმაყოფილეს, პერანგ შემოხეული სალომე გაუნძრევლათ ეგდო იატაკზე.

—ბუნტოვჩიკი! ჩაილაპარკა ერთმა მხედარმა, სისხლში მცურავ ბეკოს ფეხი წაკრა და ჩაიხითხითა.

თითქოს აქ არაფერი მომხდარაო დასხედენ, შეადგინეს ოქმი, რომ სამსახურის დროს აირაღით წინალმდეგობის გაწევისთვის მოკლეს ბეკო ბილიკაძე, მოაგროვეს ნადავლი და არხეინათ გაუდგენ გზას.

—მომილოცნია! ღმერთმა მრავალ ახალ წელიწადს დაგასწროთ—გაიძახოდა იქვე ახლოს ეკლესიაში მღვდელი და სათნოების ნიშნათ ნაზათ წვერებზე ხელს ისვამდა.

—ელი.

სალიტერატურო მიმოხილვა.

IV

ბრძენი იყო და მდიდარი ეკლეზიასტი. ყოველივე მას ემორჩილებოდა, ყოველისფერი იმის ხელთ იყო. მას არ გააჩნდა ისეთი სურვილი, რომლის განხორციელებაც მას არ შესძლებოდა. ქვეყნიური ბედნიერების, მხიარულებისა და სიამოვნების კარი მისთვის ფართოთ იყო გაღებული დ ქვეყნიური ნეტარებისა და სიტკბოების ზღვაში გულმხიარული დანავარდობდა. ყოველივე აუსრულდა. ყოველისფერს მიაღწია, ყოველივე გამოსცადა, ყოველისფერი იგემა და, როდესაც ბოლოს დაეკითხა თავის თავს: რა არის ქვეყანა, რა არის ადამიანის ცხოვრებაო, ამაო ამაოებათა და ყოველივე ამაოაო. აი მოკლე პასუხი მთელი მისი განვლილი ცხოვრებისა, მთელი მისი განცდილი ნეტარებისა.

სამყარო, ბუნება მეტათ რთული საიდუმლოებაა, სიცოცხლე კი მეტათ წუთიერი. დროს დასასრული არა აქვს, სივრცეს სამზღვარი, სამყაროს თავი და ბოლო, ჩვენი სიცოცხლე კი ელვასა ჰგავს,—გამოაშუქებს ერთს წამს და, სანამ ბუნებას საიდუმლოებას ოდნავაც მაინც მივუახლოვდებოდეთ, ჩაჰქრება კიდეც.

ჩვენი დაბადება ჩვენ არ გვეკითხება, ჩვენი ნების, ჩვენი სურვილის გარეშე ვღებულობთ სახეს; ვცხოვრობთ, ვმხიარულობთ, ვიტანჯებით და ვკვდებით, ვქრებით, ვისპობით სამუდამოთ, როგორც საკუთარი „მე"-ს მატარებელი პიროვნება და აღა. რასოდეს აღარ გავმეორდებით. დრო ივლის შეუჩერებლათ, დაუსრულებლათ; უსაზღვრო სივრცეში დაუსაზამთ და დაუბოლოვო ბუნება მრავალ ცვალებადობას განიცდის, ჩვენი შეგნება, ჩვენი „მე" კი აღარასოდეს აღარ იქნება.

ფუი! რა სისულელეა სიცოცხლე, ძალაუნებურათ აღმოჰხდება ადამიანს, როცა ის ბუნების დაუსრულებლობას თავისი არსებობის წუთიერობას შეუდარებს.

სიკვდილის საშინელება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ „მე" ისპობა სამუდამოთ, არამედ უფრო და განსაკუთრებით იმაში, რომ „მე" ისე ისპობა, ბუნების საიდუმლოებას ვერ იგნებს. ვიბადებით, მაგრამ რისთვის, ჩვენ არ ვიცით; ვცოცხლობთ, მაგრამ რისთვის, ჩვენ არ ვიცით; რა არის სიცოცხლე, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ არაფერი ეს ჩვენ არ ვიცით, და სიცოცხლე ისე მოკლეა, რომ ვერასოდეს ჩვენ ამას ვერ გავიგებთ.

დროთა შეუწყვეტელ და დაუსრულებელ ბრუნვაში ჩვენ მხოლოთ ერთ წამს ვახელთ თვალებს, რომ ჩვენი სრული არარაობა ჩვენი ცხოვრების, მისწრაფების, სურვილების, განზრახვების ასიფუჭე დავინახოთ და შემდეგ სამუდამოთ დავხუჭოთ თვალები.

ფუი! რა სისულელეა სიცოცხლე, ძალა უნებურათ აღმოჰხდება ადამიანს, როდესაც ის ყოველივე ამას გაითვალისწინებს.

სასოწარკვეთილებაში მყოფ ადამიანს სარწმუნოება ევლინება მანუგეშებლათ.

—ნუ გეშინია, ბუნების გარეშე ღმერთია დაუსაზამო და დაუბოლოო, მას ემორჩილება ყველაფერი.

—სიცოცხლე წუთიერი სრულებითაც არ არის, ეს მხოლოთ ასე გეჩვენება. მართალია, შენ თვალებითა ხედავ, მაგრამ თვალები რომ დაგილპება, აბა მაშინ გექნება საუკეთესო მხედველობა! მართალია, შენ ყურებით ისმენ, მაგრამ ყურები რომ დაგილპება, აბა მაშინ გექნება საუკეთესო სმენა! მართალია, შენ გულითა, გრძნობ, მაგრამ გული რომ მოკვდება და დაგილპება, აბა მაშინ უნდა უყურო შენი გრძნობების გაცხოველებას!

დაახლოვებით ამგვარათ ანუგეშებს სარწმუნოება ადამიანს. ადამიანსაც სჯერა დაუჯერებელი, სწამს უწამებელი.

სხვა-და-სხვა სარწმუნოებრივ მოძღვრებათა უმეტეს ნაწილის მიზანს შეადგენს გამართლება, ახსნა და, აზრისა და შეგნებული ნების შეტანა იმ სისულელეში, რომელსაც ადამიანის სიცოცხლე ეწოდება.

სარწმუნოებას არ შეუძლია სიცოცხლის ახსნა ღვთაებრიობის იდეის გარეშე.

მოსპეთ ის აზრი, ის იდეა, რომ ღმერთი არსებობს, და მაშინ სარწმუნოება სრულებით უძლუ-

რია, სარწმუნოება ულვთოთ, შეუძლებელია. ღვთაებრიობის იდეის წარმოდგენაში სხვა-და-სხვა სარწმუნოებრივი შეხედულობანი შეგვიძლია დავყოთ ორ ნაწილათ. ერთი ღმერთს აყენებს ბუნების გარეშე, როგორც უნივერსალურ გონიერ ნებას და მას უმორჩილებს მთელს სამყაროს.

მეორე კი თვით ბუნებაში ჰხედავს ღვთის განსახოვნებას.

ნაკლი ორივეში დიდია, მაგრამ პირველი შეხედულება თანამედროვე ცოდნით აღჭურვილ ადამიანს სრულებით ვერ დააკმაყოფილებს. ჩვენ არ ვიცით, რა არის ბუნება, და გვინდა მისი ახსნა ბუნების გარეშე თვით არსი ღმერთით. ის კი გვაიწყდება, რომ ჩვენ არ ვიცით, რა არის, ვინ არის თვით ღმერთი, და არც შეგვიძლია ამის ცოდნა; ის უფრო გაუგებარია, ვიდრე ბუნება, რადგანაც ბუნების შესწავლა კიდევ შეიძლება, ღვთისა კი სრულებით არა,—ღვთისა მხოლოთ რწმენა შეიძლება.

ამგვარათ გაუგებარი ბუნებას ასახსნელათ ჩვენ ვქმნით იდეას გაუგებარივე ღვთაებრიობისას და საქმის გაადვილების მაგიერ კიდევ უფრო ვაძნელებთ, რადგანაც ერთი გაუგებრობის ალაგას ხელთა გვრჩება ორი გაუგებრობა.

სულ სხვაა მეორე გვარი შეხედულება. ის უარჰყოფს ღმერთს ბუნების გარეშე და ჰხედავს მას თვით ბუნებაში, ბუნების ყოველ საგანში, ბუნების ყოველ სხეულში, ბუნების ყოველ ნაწილში, ბუნების ყოველ მოვლენაში, ბუნების ყოველ სახეში. მთელი ბუნება ამ მოძღვრებით თვით ღმერთია. ამიტომ ეწოდება ამ მოძღვრებას პანთეიზმი (პან ბერძნულათ ნიშნავს სულ-ყველაფერს, თეოს კი ღმერთს). რისთვის დასჭირდა პანთეიზმს ბუნების გაღმერთება? ამით პანთეიზმს იმისი თქმა უნდა, რომ ბუნება მკვდარი, უაზრო, უნებო არსი კი არ არის, არამედ ცოცხალი, სულიანი, აზრიანი და ნებიანი. თუ დაეთანხმეთ ამგვარ აზრს, მაშინ მთელი ბუნება, მთელი სამყარო ახსნილია თქვენთვის, ახსნილია სიცოცხლის საიდუმლოებაც. მთელი ბუნება სცხოვრობს საკუთარი სიცოცხლით, ყოველი კერძო სიცოცხლე ნაწილია მსოფლიო სიცოცხლისა, ყოველი კერძო ნება ნაწილია მსოფლიო ნებისა, ყოველი კერძო აზროვნება ნაწილია მსოფლიო აზროვნებისა. ყოველი კერძო გონება ნაწილია მსოფლიო გონებისა. ბუნება უკვდავია, უკვდავია მსოფლიო აზროვნება, ამიტომ უკვდავია ყოველი კერძო აზროვნებაც. ყოველი პიროვნება, ყოველი „მე“ საკუთარ ხორციელ სახეს იცვლის სიკვდილის პროცესით, ხოლო ყოველი კერძო აზროვნება, როგორც არა ხორციელი ყოფა—უკვდავია.

ვაჟაფშაველა, როგორც პოეტი, წმინდა წყლის პანთეისტია. სამყარო იმის პოეზიაში სულიერი არსებაა, ის უკვდავია, ჰფიქრობს, გრძნობს და აზროვნებს.

სამყაროს ყოველი ნაწილი, ბალახი, ქვა სულიერი ქმნილებაა.

> რაც კი რამ დაუბადია
> უფალს სულიერ-უსულო
> ყველასაც თურმე ენა აქვს.
> არა ყოფილა ურჯულო.

ამ მხრივ ყველაზე უფრო საყურადღებოა ვაჟაფშაველას „გველის მჭამელი.“

მთელი სამყარო გველის მჭამელში უნივერსალური, უკვდავი სამარადისო სულის განსახიერებაა. მკვდარი, უსულო არასფერი არ არსებობს. ხე, ბალახი, ქვა, კლდე, წყალი ყველა ცოცხალი ქმნილებაა, ყველა აზრვნობს, ყველა ფიქრობს. მინდიას—ყვავილები, ბალახი ემუსაიფება, მინდიას ესმის ხის ტირილი, მისი გულის ტკივილი, მინდიას ეყურება ჩიტების ენა.

ყოველი არსება მხოლოთ სხვა და სხვა სახეა ზოგადი სულისა და ამგვარათ ყველა ქმნილებანი, ყველა სხვა და სხვა არსებანი მჭიდროთ არიან ერთმანეთში შეკავშირებული და მსოფლიო სულში ერთდებიან.

სანამ მინდია გრძნობდა თავის თავს მსოფლიო სულს ნაწილათ, მისი ცოდნა, მისი გონიერება, მისი ძალა უსამზღვრო იყო.

მაგრამ მინდიამ უღალატა თავის რწმენას, მან შესწყვიტა კავშირი მსოფლიო სულთან და ერთბაშათ დაჰკარგა ცოდნაც, ძალაც.

„გველის მჭამელში“ ვაჟაფშაველა მარტო პოეტი კი არ არის, ის არის პოეტი-ფილოსოფოსი და თვისი ფილოსოფიური ხელოვნებით უახლოვდება შილლერს. ვაჟაფშაველა სწორეთ იმგვარივე პანთეისტია პოეზიაში, როგორც შილლერი.

ივ. გომართელი.

ხმები.

მინახავს მდელო, უცხო მდელო აყვავებული—
ჩემი ქვეყანა, ნაბი, ტურფა, დამშვენებული.
ქორფა ყვავილი, ქორფა ვარდი იკოკრებოდა,
ბულბულს შესტრფოდა, იას ფრთებში ეკონებოდა.
კუშნის მდელო, შავ-ღრუბლებით დაბნელებული,
იქ აღარ იყო,-იყო არე გაბრწყინვებული.
ქყეყნის მნათობი ტურფა მდელოს სხივებს აფრ-
ქვევდ,

ნაზი ბულბული ტკბილათ სტვენდა, ყვავილს და-
ჰყეფდა,
მდელო ხარობდა, მთელი არე მხიარულობდა,
სიცოცხლის ძალა იქ ტოკავდა, ნაკადულობდა.

*
* *

ზამთრის ნიავმა, ცივმა ქარმა მდელოს დაჰბერა,
ფრთები შეაჭკნო, და სიტურფე მას გამოსტაცა,
გლოვის ზეაწრი მკრთალ მიდამოს გადაეფარა,
სდუმს არე-მარე, სდუმს ბულბული, პირქუშობს
ცაცა.
გულმა დაიწყო მწარედ კვნესა, მწარედ ქვითინი,
სიცოცხლის ფრთები აწ სადღაა, მითხარ, მიდამო!...
ნუ თუ სამუდმოთ ჩიტუნებმა შესწყვიტეს ლხინი,
ნუ თუ მკერდ ღია გაზაფხულსა ვერ მივესალმო!!..

*
* *

რა, რა გაშინებს, შე საბრალო, გვერდით ხმა
ისმის —
წყვდიადით მოსილ სამყაროდან გამოძახილი;
და ეს ხმა არის, ხმა მეგობრის, დატანჯულ გმირის,
ხმა საიმედო, სასიცოცხლო გრძნობით აღვსილი.
ბოროტმა ძალამ არ დამზოგა, ჯოჯოხეთს მიმცა,
სიცოცხლის სხივი დასანახათ მომნატრებია,
მაგრამ არ ვტირი, მარად ვიცი, სუსხი ზამთრისა
გაზაფხულის მზეს ვერასოდეს შებრძოლებია.

*
* *

სალამს მოგიძღვნით, მეგობრებო, სიცოცხლის
ფრთებო,
დე, შავ-კედლებმა ყური უგდოს ჩემსა გულის
თქმას ...
და ახალ წელსაც მოგილოცავთ, ტანჯულ გვრი-
ტებო,
რომ კვლავ მზეს ეტრფით, კვლავად გვასმენ საი-
მედო მას!...

ბ. გელა.

ურწმუნოს დღიუიდან.

31 დეკემბერი.

...... უკანასკნელი დღეა. კიდევ ერთი ღამე და ძველი წელიწადიც ჩაბარდება პატრონს. ხვალ ახალ წელია. როგორ გულის ძიგძიგით, როგორ სიხარულით ეგებებიან ამ ახალ წელიწადს უსუსური ადამიანები! აი ჩემი ოთახის სარკმლიდან გავყურებ ქუჩაში და ბრაზი მახრჩობს. რომ შემეძლოს გადავხტებოდი დავერეოდი ყველას, რომლებიც ასე გაფაციცებით ემზადებიან ახალ წლისათვის, თავპირს დავამტვრევდი, გამოვსტაცებდი ხელიდან ნავაჭრს და ფეხით გავსთელავდი. ხა, ხა, ხა, აი ვიღაც ღიპიანს უკან მოსდევს სხვა და სხვა სანოვაგით დასაპალნებული მუშა. შეხედეთ რა ღიმილი უკრთის სახეზე? ხა, ხა, ხა, ახალ წელს ეგებება! ალბათ ყველას ის უხარია, რომ ერთი ნაბიჯი გადადგეს სამარისკენ... ხვალ ცბიერი ღიმილით ადამიანები ერთმანეთს მიეგებებიან, ჩაკოცნიან, მიულოცავენ ახალ წელს, უსურვებენ სიცოცხლეს, თეთრ კბილებს უჩვენებენ, მეტის სიამოვნებისაგან თვალები აეცრემლებათ, გულში კი მზათ არიან ერთი მეორეს საფლავი გაუთხარონ, დაასამარონ, შესჭამონ. რა საზიზღრები არიან ადამიანები! რომ შემეძლოს ყველას ერთი ხმლის მოქნევით დავაყრევინებდი თავებს,.. აი დინჯათ მოაბიჯებს ჩემი მეგობარი ენუქა ხელტუკაძე. ტანთ ლამაზათ აცვია, თვალები დაუნაბავს და ერთის შეხედვით ნამდვილი წმინდანი გეგონება, ის საზოგადო საქმისთვის თავდადებულია, ყოვლივე პატიოსნების და კაცთმოყვარეობის განხორციელებაა. აბა ყური დაუგდეთ მის ლაპარაკს: საზოგადო საქმისთვის თავდადება, პატიოსნება, უმანკოება, საკუთარი თავის გაწირვა და სხვა ამ გვარი შუშხუნა სიტყვები მუდამ პირზე აკერია. ენუქას ძრიელ უყვარს ლაპარაკი. ოღონდ ალაპარაკეთ და თუ გინდა ათასჯერ გადაღეჭილს რამდენჯერმე გაიმეორებს. ლაპარაკი, ლაპარაკი და ლაპარაკი.—აი ენუქას სატრფიალო საგანი. საზოგადოებას მოსწონს მისი რახარუხი, ისიც ლაპარაკობს, სულ ერთია სადაც უნდა იყოს. ჰექს, ქუხს. ის მუდამ სხვების საქციელს გმობს, ის კიცხავს ყოველივე უსამართლობას და ბოროტებას საზოგადოება მას გუნდრუკს უკმევს. საზოგადოებას ის წმინდანი გონია, აღმერთებს. და ეს იმიტომ, რომ საზოგადოება ენუქას გულში ვერ ჩამძვრალა და ვერ გაუგია როგორ სძგერს მისი გული.

ენუქა საზოგადოების წინაშე ყოველივე კეთილის განხორციელებაა. ეს საჭიროა მისთვის მისი სახელისთვის, ის სიამოვნებას გრძნობს, როცა საზოგადოება მას აქებს. აბა ნახეთ ის, როცა საზოგადოებას მოეფარება და მარტოკა ზის თავის ოთახში. ის ნამდვილი დემონია, მისი გული ჯოჯოხეთურათ სძგერს. მას იქ ვერვინ ხედავს, მას შეუძლია თავისუფლათ იმოქმედოს. ის აქ სრულ თავისუფლებას აძლევს თავის სიკუთარ „მე“-ს, ის ამ “მე“-ს მონა მორჩილია და მისი გულისთვის მზათ არის არავითარ საშუალების წინ არ დაიხიოს, მზათ არის გაყიდოს მეგობარი, ფეხქვეშ გათელოს ის საზოგადოება, რომელიც მისთვის ასე საჭიროა. საზოგადოების წინაშე ის ენას ალაქლაქებს, სიწმინდეზე, პატიოსნებაზე და სხვა ამ გვარობაზე ქადაგობს და საზოგადოების უკან კი ყოველივე საზი-

ზღრობას ჩადის, საზოგადოება ამას ვერ ხედავს და გუნდრუკს უკმევს, საზიზღარი!..

აგერ ნაზი, მშვენიერი არსება. როგორ მონარნარობს, მის თვალებში სიყვარულის ნაპერწკალი ღვივის. მთელი მისი არსება უმანკოების განხორციელებაა, ციდან ჩამოფრენილი ანგელოზია, საზოგადოებას ის ღმერთათ მიაჩნია, პატივსცემს. საზოგადოების თვალში ის უმანკო კრავია. მან იცის სად როგორ უნდა მოიქცეს. ის მუდამ კიცხავს სხვას, მუდამ უმანკოებაზე და სათნოებაზე ლაპარაკობს. ის სტყუის, თვალთმაქცობს საზოგადოების წინაშე, მის გულში ჩაძრომა არავის შეუძლია. ის არავის ნებას არ აძლევს გაიგოს მისი დაფარული აზრები. საზოგადოების იქით, ფარულათ ის ყოველივე გარყვნილების განხორციელებაა, ის იქ თავისუფლათ სჩადის იმას, რაც სხვისთვის გასაკიცხია, მაგრამ ამას საზოგადოება ვერ ხედავს და პატივით და დიდებით ეპყრობა... საზიზღარი! ოჰ, რა კარგია ერთი გადავხტე ხელი წავუჭირო წვრილ კისერში და იქვე წავახრჩო... აი კიდევ მაღალ მაღალი ვაჟბატონი. აბა, ხვალ, ახალ წელიწადს უნდა უყუროთ მაგის „რაჩებს“. სიტყვებს სეტყვასავით წამოყრის უმაღლესი იდეალი, საზოგადო საქმისთვის თავის დადება, ამხანაგობა, მეგობრობა და სხვა ამ გვარი სიტყვები მუდამ მზათა აქვს. ის საზოგადოების ღმერთია, უმწიკვლო ადამიანია. აბა ამ დროს მის გულში ჩაიხედეთ? ხა, ხა, ხა, ბრმანო! ბრმანო! იქ მის გულში ტარტაროზები ფერხულს უვლიან ამ დროს. ის მუდამ მზათ არის მისი სიტყვების წინააღმდეგ ყოველივე საზიზღრობა ჩაიდინოს, როცა მას არავინ ხედავს. საზოგადოების წინაშე ის სტყუის, ფლიდობს ეს მისთვის საჭიროა, მას არ შეუძლია საზოგადოების გარეშე ცხოვრება. მისთვის საჭიროა საზოგადო აზრი. ის საზოგადოებას ატყუებს, საზოგადოება მას... ხა, ხა, ხა, საზიზღარნო! ფლიდობა, ორპირობა, გაუტანლობა— აი რა არის ყველას გულში დამარხული. მძაგხართ! მეზიზღებით ყველა!!...

აი ახალგაზდა ქალი და კაცი. ეტყობათ ცოლქმარი უნდა იყვენ. როგორ მზრუნველობით და სიყვარულით ექცევიან ერთი-მეორეს, თითქო უნდათ ერთი-მეორეს სულში ჩაუფრინდენ. როგორ გატაცებული სიყვარულით ჩასცქერიან ერთმანეთს თვალებში! საზოგადოება მათ თაყვანს სცემს, ისინი სამაგალითო ცოლ ქმარნი არიან, სიყვარულის ნამდვილი განხორციელებაა ორივე. აბა შეიხედეთ მათ დაკეტილ ოთახში, როცა მარტონი არიან: კბილ დაკრეჭილნი და სიბრაზისაგან ღორბლ მოსულნი სწეწვენ ერთმანეთს, მზათ არიან წაახრჩონ ერთმანეთი. სიცოცხლის თვითეული წუთი მათთვის ჯოჯოხეთათ გადაქცეულა, მთელ სიცოცხლეს მისცემენ ოღონდ თავი დააღწიონ ამ მოშხამულ სიცოცხლეს, მაგრამ საზოგადო აზრს ერიდებიან, საზოგადოების ეშინიათ. ეს ხდება მხოლოდ მათ დაკეტილ ოთახში, გარეთ, საზოგადოების წინაშე კი ისინი სამაგალითო ცოლ ქმარნი არიან და სიყვარულით ლოკავენ ერთი მეორეს. საზოგადოებას ეს მოსწონს, საზოგადოების თვალში ისინი ბედნიერი არიან. საზიზღრებო! რატომ აქვე ქუჩაში არ ეცემით ერთი მეორეს და არ გაწეწავთ? რატომ არ შეგიძლიათ დაანახოთ საზოგადოებას თქვენი მოშხამული სიცოცხლე? საზოგადოება ამას არ მოიწონებს, საზოგადოებისთვის საჭიროა ცბიერათ თვალთმაქცათ მოიქცეთ მის წინაშე. მაშ, მიდით ოთახში და იქ წეწეთ ერთმანეთი. ხვალ, ახალწელიწად დილით, რომ საზოგადოებას დაანახოთ თქვენი ცრუ სიყვარული, ტკბილათ გადაეხვევით ერთმანეთს და უსურვებთ სიამით ცხოვრებას. რომ იცოდეთ, როგორ მეზიზღებით, ... ოჰ, რა ძნელია ყოველივე რწმენის დაკარგვა, ნამდვილი ურწმუნო ვარ, ურწმუნო თომა. ყველაფერს ეჭვის თვალით ვუყურებ, ვიცნობ ადამიანებს, გავიგე მათი ცბიერება..... ხვალ, ახალ წელიწადს გრძნობით გადაგეხვევა გულითადი მეგობარი, ძმობას, სიყვარულს გეფიცება, შენისთანა მას არავინ ყავს. დღეს შენი ერთგული მეგობარია, აბა ხვალაც ნახეთ, როგორ მოგექცეს, როცა შენ მისთვის საჭირო აღარა ხარ? ის მთელი საზიზღროების ბუდეა, მაგრამ ყველა ამას მოხერხებულათ ფარავს. ის მზათ არის ფეხ ქვეშ გაგთელოს, დაგწიხლოს, მაგრამ ისე კი რომ საზოგადოება ამას ვერ გაიგებს. მისთვის საჭიროა საზოგადო აზრი, აბა სცადეთ და პატივი დაიმსახურეთ საზოგადოების წინაშე, ის ეცდება გაგაშაოს, რადგან მას სურს საზოგადოება მარტო მას აღმერთებდეს, მას სურს შენზე მაღლა იდგეს. შენი გულითადი მეგობარი კიცხავს ყოველივე დაჩაგვრა-დამონავებას, ერთობა-თანასწორობის მქადაგებელია. აბა ერთი ხელში ჩაიგდოს ბატონობა. ის მთელ თავის სისასტიკეს გამოიჩენს, რომ მასთან არავინ აფოფხდეს, რომ ის ყველაზე მაღლა იდგეს. ასეთია ადამიანის ბუნება... მე მყავს ერთი გულითადი მეგობარი ქრისტესია, მართლა გულითადი კი არ გეგონოთ, თვით ის მეფიცება გულითადი ვარო, თორემ მე ვიცი რაც შვილი არის. მეზიზღება, როცა მის მოქმედებას ვუყურებ, ვინც მას იცნობს, ვისაც ჩაუხედნია მის გულში დაინახავდა, რომ ყოველივე მის მოქმედებას საფუძვლათ უდევს მისი „მე“. საზოგადოებაში კი ლაქლაქობს, ჩემი საკუთარი „მე“

ეროვნული

დიმივიწყია და საზოგადო საქმისთვის თავს ვსდებო, საქმეს ვაკეთებო. რასაც აკეთებს, ყველაფერს იმიტომ აკეთებს, რომ სთქვან საქმეს აკეთებსო, მას საქმე კი არ აინტერესებს, საქმის სიყვარული კი არ აქვს, მას აინტერესებს საზოგადო აზრი, სახელი, დიდება, პატივის ცემა. რა საქმეში გინდათ ის რომ არ ეჩრება, რამდენი გინდათ, რომ ის არ ლაპარაკობს, ამხანაგებს ის მოსწონს, საზოგადოებას მოსწონს. ერთიც, მეორეც და მესამეც სტყუის..... ოჰ, რა ძნელია, როცა ადამიან ს გულში ჩაძვრები და იქ დაფარულ აზრს გაიგებ,.. მე ეხლა ჰაერში ვარ გამოკიდული. აქ ფლიდობა, გაუტანლობა, იქ არაფერი. მაშ რა ვქნა? კედლებს ვახეთქო თავი?... ოჰ, როგორ ტკბილათ მომაგონდება განვლილი, ბაშური ცხოვრება, როცა ყველაფერი ისე მეგონა, როგორც ვხედავდი. მახსოვს როცა სიყვარულით დამთვრალი მივყდობდი თავს დედის მკერდზე და სულ-განაბული ვისმენდი მის ტკბილ ჭიკჭიკს... ქვეყანა სამოთხეთ მეჩვენებოდა, ადამიანები ანგელოზებათ. ჩემთვის აქაც სამოთხე იყო და იქაც. ჩემს გულში მტკიცე რწმენა იყო. მახსოვს, როგორ სასოებით აღვაპყრობდი ხელებს და გულით შევსთხოვდი ზეცას შეესრულებია ჩემი სურვილი და მტკიცეთ დარწმუნებულიც ვიყავი გამიგონებდა... ოჰ, რა ბედნიერი ვიყავი მაშინ! იმედი, რწმენა და სიყვარული მტკიცეთ ჩანერგული მქონდა გულში, არ ვიცოდი არაფერი, ბრმა ვიყავი... ეხლა? ეხლა კი ჩემი ცხოვრება ჯოჯოხეთია.... ურწმუნო თომა ვარ... გარშემო ფლიდობა, ორპირობა, გაუტანლობა, ღალატი, ერთი მეორის დაჩაგვრა დამონავება... აი რას ვხედავ აქ... რა არის იქ? არ ვიცი... არაფერი.... ადამიანებო! მეზიზღებით, მძაგხართ, მზათ ვარ ყველა ფეხ-ქვეშ გაგსრისოთ, კბილებით დაგლიჯო... მინდა ვიყვირო, რომ ყველა სტყუის, თვალთ-მაქცობს, მინდა ვიყვირო, რომ ხვალ ახალ-წელიწადს, გესლით, შხამ-ნაღველით სავსე ტუჩებით შეეხებიან ერთმანეთს ადამიანები, უსურვებენ დიდხანს სიცოცხლეს, და შემდეგ კი ეცდებიან სიცოცხლე მოუსპონ ერთი მეორეს... მინდა ვიყვირო, მაგრამ ვისთვის? ან რისთვის? ვინ გაიგონებს?... გიჟს დამიძახებენ... ოჰ, რა ჯოჯოხეთი ტრიალებს ჩემს გულში!! მინდა შური ვიძიო, მარა ვისზე? ჩემი გული თითქოს ვიღაცას გამოუღრღნია, ტვინი გამოუჭამია· გულის ალაგას ცარიელ ადგილს ვგრძნობ, ...ჰაერში ვარ გამოკიდული, ჰაერში!... მრწამს ხოლოდ ერთი—სანამ ჩემი დიდრონი კბილები ვარგა უნდა ვღეჭო საჭმელი, ეს ჩემი სხეულისთვის საჭიროა, სანამ ჩემი თვალები კოსროდან არ გამოვარდნილა უნდა ვიყურო და დავინახო ყოველივე სისაძაგლე, სანამ ჩემი ყურები არ დაფსებულა გავიგონო ყოველივე საზიზღრობა.... მერე კი ჭია,ღუა გაძღება ჩემი სხეულით. მორჩა და გათავდა. აი ჩემი მრწამსი.... მძაგხართ, მძულხართ ყველა.... მეზიზღება თქვენი ხვალინდელი ახალწლის მიგებება და ცბიერი ღიმილი.... მე მინდა თქვენ მოგიშხამოთ ხვალინდელი დღე, მე მინდა თქვენ ცბიერ ახალ წელს ოდნავ ჩრდილი მივაყენო... მაშ, ფ რნის ბოძზე!.,. აჰა, თოკიც!... როცა ეკლესიიდან სახლისაკენ გაეშურებით, რომ გოზინაყით პირი ჩაიტკბრუნოთ ჩემმა გამოკონწიალებულმა უსულო გვამმა, გადმოგდებულმა ენამ, დახჭენილმა კბილებმა და გადმოკუჭულმა თვალებმა მოგიშხამოთ წუთი.... ეს იქნება ჩემი შურის ძიება.. . აჰ, მივდივარ!....

ირეთელი.

ამონაკვნესი.

წყვდიადს ფრთები გაუშლია
ზესკნელსა და ქვესკნელს შორის,
აღარ მესმის მოძახილი
საიმედო გულის სწორის!
ირგვლივ შავად გადაშლილა
არე მარე ყრუ და ცივი...
შენ კი... სად ხარ განთიადო?
მომაშველე შენი სხივი!...
ჩუ! აქ დემონს ჩაეცინა...
ზევით ჯადო მიმოფრინავს...
მუხრუჭს უჭერს უკუნეთი
და ძარღვებში სისხლსა ჰყინავს...
ირგვლივ ჰკვნესის... ირგვლივ გმინავს
არე მუნჯი! არე ცივი!
გამიჭირდა, განთიადო,
მომაშველე შენი სხივი!..

ნ. ზომლეთელი.

მიყვარს ადგილი...

(ვუძღვნი კარ—ს).

ლექსი პროზათ.

მიყვარს იქ ყოფნა, იმ დაბურულ ფიქვიან ქედზე! ხშირათ ვეწვეკი, სალამს ვუძვნი ვეალერსები და გულის ძგერით შევეტრფობი ნაცნობ მიდამოს. შენ არ გინახავს, მეგობარო, იქ რო პატარა, ნაძვებით გარეშემორტყმული მინდორი არი? თვითონ პატარა, ოთხკუთხედი, ყვავილოვანი,

თითქოს ზეციდან მოწყვეტილა, შვენებით სავსე, თან სილამაზე სამოთხისა წამოუღია და, ვით გულის თქმის და გრძნობების მესაიდუმლე, ნაზათ გაშლილა ამ მშვენიერ კოჩრიან ქედზე. გარშემო მცველათ, ვით ფრთოსანი ანგელოზები, კორფა, უმწიკვლო ნაძვის ხენი შემომწკვრიულან, თითქო ცდილობენ უცხო თვალიდან რომ დაიფარონ ყვავილოვანი, მშვენიერი, ტურფა ადგილი, ძირს ყვავილები, სხვა-და-სხვაფრათ აჭრებულნი, ხელგაუქდობით ტყის ნიავთან მუსაიფობენ!... ოჰ, რა კარგი ხარ, სილამაზევ, ბუნების შვილო, მის საიდუმლო კალთების ქვეშ შობილ-აღზდილო!!..

არ მახსოვს სწორედ, როდის იყო... ერთხელ, შვადღისას, როცა მზის სხივი უხვად ეკრა მიწის ზედა პირს, მეც სიცხისაგან მიბნედილი, სულ-შეხუთული, ვხეტიალობდი იმ ქედის მიდამოებში.

უცებ წავაწყდი ამ მშვენიერ ტურფა სამყოფელს... შევკრთი, შევჩერდი და სულის თქმას ვეღარ ვიბრუნებ... მიკჩერებივარ ამ სამოთხის ნაწყვეტ ადგილსა... ეჰ, დარღვეულა საიდმულო ხელთუხლებლობა! მინდორზე, ნაზათ, მომხიბლავი, მშვენების მქონე ქალწული მარტოდ ჩაფიქრებით წამოწოლილა... გვერდით წითელი ქოლგა უდევს, ხოლო წინ წიგნი და მას ჩასცქერის სიტკბოებით გატაცებული. დიდხანს ვუცქერი, ის ვერ მხედავს... დრო გადის... მსურს მთლათ შევცურდე ამ მშვენების უფსკრულ მორევში! ჩემს არსებაში რაც სიწმინდის სიმები არის, სუყველა ერთად, აწყობილათ იწყებენ ჟღერას!... ფეხი გადავდგი, დავარღვიე მით მყუდროება, თამამად მიველ აგზნებული, მივესალამე, გვერდით მოუჯექ ნაცნობ ქალწულს, არ მოვერიდე და ასე ვუთხარ: „მე არ მინდოდა დამერღვია ეს მყუდროება! დიდხანს გიჭვრეტდი, განვიცდიდი შენსა სიტურფეს, თვით ამ ბუნების მშვენებასთან მჭიდროთ ჩაქსულსა... ბოლოს ვერ გავძელ, მომესურვა ვარდის დაყნოსვა და შენთან მოველ, მხედავ, აქ ვარ გატაცებული! მსურს მოგეხვიო, მკერდს მიგიკრა, მოგეალერსო... მაგრამ იცოდე, რომ ეს გრძნობა, ჩემგან მოძღვნილი, კელაპტარია სამსხვერპლოს წინ გაჩაღებული!!!“

თუ რომ გინახავს შუა მაისში მწვანე ჯეჯილი, ნიავის ქროლით მინდვრის პირზე აღელვებული,—ისე ქალწულის ბროლის მკერდმა რხევა დაიწყო, ორი მოზრდილნი მარგალიტნი წამოიშალენ, ვნებათა-ღელვამ თვალზე ლული გადააფარა და ნაკვთად მისი ჩამოსხმული თეთრი ხელები აგზნებით ჩემკენ მოსახვევათ გადმოიჭარენ!!!...

შენ თუ გული გაქვს, შეგიძლიან წარმოიდგინო, რა ნეტარებას განვიცდიდი იმ დროს უსიტყვოდ! დაბურულს ტყეში, ადამიანის ჟღრიამულსა განშორებული, საუცხოვო და სანეტარო ყვავილოვანზე, ვიჯექ სევდების არა მცოდნე, ტრფობით ავსილი და ხელში მეპყრა ტურფა ქალი მშვენებით სავსე: თმა წამოშლოდა, და მის თეთრ მკერდში ხელი ჩამეყო.

გადაიყარა უცებ ქალმა გულის გრიგალი, მკერდზე მიმეჭდო გაბედულათ, უფრო თამამად და შემეკითხა: ხედავ, ჩემო ეხლა შენთან ვარ! მითხარ რას ითხოვ ჩემგან, ანუ რაგვარ სიყვარულს? მე წინდა წინვე მზათ ვარ ყოველი აგისრულო გრძნობა მორეულს!...

— ქალო, არ იცი, რა გვარს ვითხოვ შენგან სიყვარულს? მსურს იყო ჩემთვის შენ ემბლემა უცოდველობის, ჩემს არსებაში წმინდა სიმებს კვლავ აიწყობდე, ხელს ჩამოკრავდე, აჟღერებდე, ააკვნესებდე... მე ვერ წაგართმევ, ჩემო ტურფავ, უმანკოებას, არ მსურს, რო დასჭკნე, ვითა ვარდი, ჩემგან წყვეტილი. მე მსურს წალკოტში ვარდი იყოს, ტურფად ყვაოდეს, იმას დავყნოსდე... მაგრამ ხელით კი არა ვწყვეტავდე!!!...

ტურფა წამოდგა; მწარე კილოთ გადიხარხარა, წიგნსა და ქოლგას მზრუნველობით მოავლო ხელი და წასვლისა წინ ასე რიგათ მახალა სიტყვა:

— ეს სიყვარული სადაური სიყვარულია? ხა, ხა, ხა! მოვკვდი, სიცილითა ფერდი მეტკინა!.. ..

საღამოს ჟამსა მხიარული ჩემი ქალწული სხვას მიყვებოდა ქედის პირ-პირ ხელ გამოყრილი.

მოკვდა ის ჩემთვის, არ არსებობს, დავასამარე და არც ვიგონებ იმის სახეს თვალ წარმტაცს, მაცდუროს... ხოლო ადგილი მიყვარს იგი!!!

ოჰ, მეგობარო, რაზედ გიკვირს ესე ამბავი? როს ამ მიდამოს ვესტუმრები, მე ვეღარ ვითმენ, აღტაცებითა ამ ტურფა ველს მივესალმები და დიდხანს ვუცქერ... იცი რატომ? მიყვარს ადგილი, სადაც ისე თავდავიწყებით განვიცადე მე წმინდა გრძნობა, სიტკბოს მომფენი.

ეს მოგონება ჩემთვის არის ხარკი უშრეტი, ზეცით მოძღვნილი და ჩემ მიერ აქ აკრეფილი!!!...

დავასამარე ტურფა ჩემი, ჩემი ქალწული; მაგრამ მე მაინც მიყვარს იგი ხსოვნის ადგილი!!!

ფ. რუშაველი.

ბაღში.

ზაფხული იყო. ბაღნარ წალკოტში
ვარდი საამოთ იფურჩქნებოდა,
მის სურნელება დამათრობელი
არე მიდამოს ეფინებოდა.

შხეფების მსრბოლი მთის ნაკადული
ლაღათ მოხტოდა, მოკისკასობდა
და ნაზ ულორტიან ფერად ყვავილებს
სპეკალის ცვრებით ეპკურებოდა!

ამ სანახავით მთვრალ იადონსა
ნეტარებისა ცრემლი სდიოდა
და ამ მშვენებით ეშხ მორეული
უცხო ჰანგებზე მამოჰკიოდა.

მახსოვს, ლამაზო, ამ დიად სურათს
ჩვენც აღტაცებით შევსტრფიალებდით,
გიჟი ოცნებით გატაცებულნი
გრძნობათა სიმებს ვაწკრიალებდით.

შენს ნარნარ სახეს მთვარის სხივები
აკრთოლებული გარდაჰფენოდენ
და შავნი თვალნი სასიყვარულოთ
ციმციმ-კაშკაშით გამოჰკრთებოდენ.

ამის შემყურეს მორთოლვარე გულში
მიღვივდებოდა სხივი ციური,—
ფარვანასაებრ თავს გევლებოდი
წმინდა სიყვარულს მოწყურებული.

შენც ულმობელი ნაზათ მოგეყრდნო
ჩემსა გვერდზედა პატარა თავი,
ოცნების ზღვაში მიმომცურავთა
გეგონა იყო იგი უკვდავი.

* * *

განვლო დრო ჟამმა. . გავედ კვლავ ბაღში
მაგრამ სატრფოვ იქ აღარ იყავი
და ოცნებისა ფრთებ დამსხვრეული
ფიქრები მევლობდა მწვავ სატანჯავი.

ირგვლივ კი ისევ სურნელს ჰფენდენ
ვარდ-ზამბახ ია ნაზი სუმბული;
უცხო ჰანგებზე ჰყეფდენ, ჰკიოდენ
შაშვ-იადონი... ტკბილი ბულბული.

დ. თურდოსპირელი.

ფხიზელი დარაჯი

(დასასრული. იხ. „სხ." № 3)

ხაწე ერთხანს გარინდებულივით იდგა და თვალები უბრწყინავდა. მას გულში მოსვდა დათვის ამბავი. ხაწე სწორედ ნადირობის ტრფიალი იყო, მისი ფიქრი და ოცნება სულ იარაღს დასტრიალებდა; თოფის მუსუსი იყო სწორედ, მაგრამ მისი მოკლული ნადირი კი არვის ენახა.

აიღებდა მაგაზინკას, აილანს ან ბერდანკას და მთელი დღე დაწანწალობდა თავის კოჭლის ფეხით ტყე-ღრეში. შიში არ იცოდა რა იყო და დაღლილობა ხომ სულ უცნობი ხილი იყო მისთვის.

— ღმერთს მადლობა, ძალიან ბედი მაქ. სანადიროთ რო წავალ, ოთხი-ხუთი მაინც უნდა ნახო!—მეტყოდა ხოლმე ხაწე ბავშურის, ნეტარის ღიმილით და თეთრ კბილებს გამოაჩენდა.

— მაშ, სროლა არა გცოდნია თუ კი ვერა ხოცავ!

— დეელერტუ, (ღმერთმანი) ნიკოი, ბერდანკით შაურიანს გავხვრეტავ, ტყვიას შიგ ბეჭედში დავკრავ!—მიპასუხებდა ხაწე და ხელებს ისე ასწევდა, თითქო ესაა ეხლა ესვრისო.

სროლა მართლაც რომ კარგი იცოდა, მაგრამ ყველას აბუჩადა ჰყავდა აგდებული. ტყისკენ მიმავალ თოფიან ხაწეს რო დაინახავდენ, მიაძახებდენ ხოლმე:

— ხაწე, ურემი სად დაგახვედროთო?

მეტად გულნატკენი იყო ხაწე თავის ბედზე, მაგრამ რას გააწყობდა. მამის სიტყვებმა კი რაღაც იმედი შეაშუქეს მის გულში. იქნებ ეხლა მაინც გამიღიმოს ბედმაო.

ხაწე ერთბაშად გატრიალდა სახლისკენ, დერეფანში გამოიტანა ბერდენკა და წმენდა დაუწყო. მთელი დღე მოუსვენარ მოლოდინში დაალამა ხაწემ, ერთ ადგილზე ვერა ჩერდებოდა და სულ უაზროდ ტრიალებდა.

დაღამდა. ნახირი უკვე დაბრუნებული იყო სოფლად და აქა-იქ ეზოებში ჩხრიალ-ჩხრიალი გაუდიოდა რძეს თიხის ჯამფილებში და კათხებში.

ხაწეც მზათ იყო. შიგნით—გარედან გაწმენდილი ბერდანკა აელო, სავსე პატარანტაში სამხარულად გაეკეთებინა, თავისი განუყრელი მეგობარი—გრძელი ხანჯალი გაელესა, ბულდოგის რევოლვერი ჩამოეკიდნა, ყელის ნაჭერი და ხმიადი წითელ ხელცახოცით წელზე შემოეკრა, მხრებზე დურა ტყავი მოეგდო და თავის კოჭლის ფეხით ჩუმათ მოიპარებოდა—რომ არავის დაენახა—წისქვილის წყლისაკენ, იქიდან კი ჭობიოს სერის სიმინდებისაკენ.

მალე ავიდა ხაწე თავის სიმინდში, სულ ერთი ვერსის მანძლზე თუ იქნებოდა სოფლიდან. ალმადალმა მიმდგარ სიმინდებსა და სიმინდებ შუა, დარჩენილ ყამირზე იდგა ერთი დაბერებული პანტა, იმაზე იყო გაკეთებული საყოველწლოდ საყარაულო.

ხაწეც აფოფხდა ამ მაღალ, კისერ წამოხრილ,

ქოჩორ-დაკაფულ პანტაზე თავის ბარგი-ბარხანით და დარჩენილ ტოტებ-გახლართულ და ფუჩეჩ-დაყრილ პანტის ქოჩორს კოდალასავით ზემოდან მოექცა.

მყუდრო საღამო იყო.

ნამგლის პირივით გალეული და მორკალული მთვარე მკრთალ შუქსა ჰფენდა ჭობიოს ფერდობებს.

ლურჯ, კამკამა ცაზე ვარსკვლავები ალმასის თვალებივით ციმციმებდენ.

აქა-იქ, უმტვერო ქაღალდივით სპეტაკი ღრუბლის ნაგლეჯები დაცურავდა.

ნიავი ოდნავ ჰქროდა და ხაწეს თვალწინ გადამწვანებულ სიმინდს ზღვასავით აღელვებდა.

ღურა ტყავ წახურული, პირქვე წაწოლილი ხაწე სმენად გადაქცეულიყო. ბერდანკა გვერდით მოედო და მოუსვენარ მოლოდინში ფუჩეჩებში გახვეულ წეკო თამბაქოს, მარცხენა ხელში შემალულს, მალი-მალ აბოლებდა.

მთვარე რა ხანია მიეფარა ჭობიოს კუდს. ლეგა ღრუბლების ქარავანი გამოეფინა ცის კამარაზე და მობჟუტავ ვარსკვლავებს პირსაბურად გადაეფარა. ჰაერში გაბნეული სუსტი სინათლე ტყის წყვდიადს ებრძოდა.

შუაღამე კარგა გატეხილი იყო, მარა დათვი კი არსადა სჩანდა, ლოდინით გაბეზრებულმა ხაწემ გახსნა თავისი ხელცახოცი და ერბოიან ყველსა და ხმიადს ნელ-ნელა შეექცა. მისი ფიქრი კი მხოლოდ დათვის გარშემო ტრიალებდა. ცაზე წამოგრაგნილი ღრუბლები საგონებელში აგდებდენ ხაწეს, მარა ატყობდა რომ წვიმის ღრუბლები არ იყო და გულს იმშვიდებდა. დანაყრების მერე კვლავ გაახვია სიმინდის ფუჩეჩში წეკო თამბაქო და გააბოლა.

— ვთქვათ, აი ბილიკზე ჩამოვიდა დათვი, გაარჩევ კი სანიშნეთ?—ფიქრობს ხაწე და ბილიკის მხარეს ნიშანში იღებს.

— ღმერთის მადლმა მიაკლავ!—აიმედებს თავის თავს, თუმცა ნიშანში ვერაფერს არჩევს.

— დაჭრილი დათვი რო პანტაზე ამოვიდეს?—გაუელვა ფიქრმა და უნებლიეთ ხანჯალს ამოსწია, რევოლვერი მოიმარჯვა, ბუდის ღილი გაუხსნა, მარცხენა ხელის თითებში პატრონები გაიკეთა და ღიმილით ჩაილაპარაკა.

— მოვიდეს! და მხართეძოზე წამოწვა. საომრად მზათაა ხაწე, მარა ვერანა დათვი არსადა სჩანს.

— იქნება სული დაიყარა? იქნებ ნიავი სწორეთ იმ სერისკენ მიაქანებს პაპიროზის ბოლს, საიდანაც დათვი უნდა ჩამოვიდეს და გეზი შეაცვლევინოს?—გაიფიქრა ხაწემ პაპიროზს დააფურთხა და გადააგდო.

წამოწოლილი ხაწე საოცნებო ფიქრებშია გართული!

ვითომც მან უკვე მოკლა კიდეც დათვი, ვითომ ურმით ჩა-ტანა სოფელში და ეზოში დაუწყო ტყავება. მთელი სოფელი მოაწყდა იმათ ეზოს. ქალი და კაცი, დიდი და პატარა ერთმანეთში ირევიან.

გეიზ-კა, მისი გულის თქმა, შველის ნუკრივით მალხაზი, შავთვალა გეიზიკაც იქ არის და, ქალაღაია გაფრიალებული ლოყებ დაბრაწული, ხაწეს ახლა სულ სხვა, ეშხის თვალით უყურებს... გუშინ არ იყო, ორღობეში სალამი რო მისცა ხაწემ, გეიზიკამ ტუჩები აიპრუწა და თავი იქით მიიღო?.. დღეს კი, ღმერთო ჩემო, რა ბედნიერია ხაწე... მისი ტოლ-ამხანაგები კი ჯავრით გულზე სკდებიან და ოხუნჯობით ცდილობენ ხაწეს სახელი დაჩრდილონ.

— დელერ დუ, მკვდარი უპოვია სადმე!—ამბობს იდა და იცინის.

— ო, მე და ჩემა ღმერთმა!—უდასტურებს მოხუცი წოვენარგი ღიმილით და ხალხში საერთო სიცილია... დათვმა წამოიწია და ტოტებზე შედგა. ხალხი დაფთხა და წივილ-კივილით გარბის... დითვი კი ბღლვინავს და ანგრევს იქაურობას.

— შრრრ-შრრ-შრრრ-შრ!.. უცბათ გაისმა შრიალი და ლაწალუწი.

ხაწე ფეთიანივით წამოჯდა, თვალებზე ხელი მოისო, ყური დაუგდო. სიმინდებისკენ მართლაც ისმოდა ლაწალუწი და შრიალი.

— ღმერთის მადლმა ვერ წამიხვალ! წამოიძახა ხაწემ და თვალის დახამხამებაზე დაიგრიალა თოფმა.

გაიზუზუნა ტყვიამ მიყურებულ წყვდიადში.

ხაწე კი გამალებული ისროდა იმ მხარეს საიდანაც ლაწუნი ესმოდა.

— ვაააჰ! ვაააჰ!—გაისმა ღრიილი და დაკოდილი მხეცი ხაწეს პანტას მორგვივით წამოაწყდა. დააყარა ხაწემ ზემოდან ტყვია და ხმა ჩააკმენდინა. მაგრამ სიმინდებში კვლავ ისმოდა ლაწუნ-შრიალი.

— ორნი ყოფილან ეს ვერანები!—გაიფიქრა ხაწემ და ახლა მეორეს მოურთო სროლა.

— ვა�აჰ! ვაააჰ!—გაისმა კვლავ გმინვა და დაკოდილი ნადირი სიმინდებშივე ჩაიფეხვა; გმინავდა როგორც განგმირული, მამაკვდავი ადამიანი. მაგრამ ხაწეს იმისთვის აღარ ეცალა: კიდევ მოალაწუნებდა სიმინდებში. ხაწეც ისროდა და ისროდა ბერდანკას, სანამ მისი ღრიალიც არ შემოესმა, დაკოდილი ხან აღმა ეცა, ხან დაღმა და გმინვით პანტას წამოაწყდა...

ხაწეს ფერმა გადაჰკრა, თმები ყალხზე დაუდგა; მაგრამ მაინც ისროდა გაშმაგებული:

— მუ!. ოოეეე!—ისმოდა ხმა ქვემოდან, რომელსაც დაკოდილთა გმინვა უპასუხებდა,

— აჰაჰაუ!. ოჰოოოუ!. ბიჭო!. მიშველეთ ბიჭოო!.. დათვებმა შემჭამეს, ბიჭიოო!.. აჰაااუ!.

— ხრინწიანის ხმით გადაჰკიოდა შემლილივით გამხდარი ხაწე და შველას ემუდარებოდა სოფელს.

ყოველი ხე, ყოველი სიმინდის ღერო დათვად გადაიქცა მის თვალში და ისროდა გამუდმებით, სანამ პატრონები სულ არ დაცალა.

ახლა კი იგი ცალ მუხლზე წამოჩოქილი, თვალებ-დაჭყეტილი წუთ-წუთ მოელოდა დაკოდილ დათვების პანტაზე აფხოტებას, ცალ ხელში რევოლვერი მოემარჯვებინა, მეორეში ამოღებული ხანჯალი და გამწარებით გადაჰკიოდა სოფელს.. დაკოდილი ნადირები კი მართლაც იფხოტებოდნენ ხაწეს პანტაზე. აზანზარებდენ, მაგრამ ასვლით კი ველარ ადიოდენ. ხაწეს გარშემო იდგა საზარელი გმინვა და სიკვდილის შემაზრზნელი ქშინვა.

მთელი სოფელი ფეხზე დადგა. დაიძრა ამოდელა ხალხი, ვინ ვის ასწრებდა. ვის ნაჯახი, ვის მაჭახელა, ვის დამბაჩა, ვის ბერდანკა, ვის აილანი, ვის ხანჯალი, ვის კეტი. ყველაზე წინ, ბრძოლის ადგილას, ხაწეს მამამ ბუღაკამ მიირბინა. ის შუადამისას დაბრუნებულიყო ახმეტიდან, საქონელი ურმის ყელზე საბლით დაეპა, თითონ კი, დაქანცული, ისევე დერეფანში მიწოლილიყო. პირველ ტკბილ ძილში იყო. როდესაც სიზმარივით შემოესმა თოფის ხმა და ხაწეს გამწარებული კივილი ბუღაკამ მიირბინა პანტასთან სიფრთხილით, თოფმომარჯვებულმა და შორიდან შესძახა:

— აჰაი, ხაწეე!. რა ამბავია ბიჭო?!

— ოოვხ!..—ძლივს წაილულლულა ხაწემ და ენა ჩაუარდა.

ბუღაკა მიუახლოვდა პანტას, დააცქერდა უცბად შემკრთალი შედგა, და ელდა ნაკრავივით გამოტრიალდა სახლისაკენ.

ისეთი გადაფითრებული, ისეთი დამწუხრებული, ისეთი სახე-შეშლილი იყო იმ წუთს ბუღაკა, რომ გზად შემოხვედრილი, გულხელქვეშ მორბენალე მეზობლები ვერც კი ბედავდენ ეკითხათ, თუ რა ამბავი იყო ხაწეს თავზე. ბოლოს მოხუცებულმა ხუტიმ ღა გაუბედა:

— რა ამბავია, ბუღაკავ, ხაწეს ხო არა ევნო რა.

— ხაწე... მომიკვდა!—მოკლედ, ხელის ჩაქნევით უპასუხა ბუღაკამ და გზა განაგრძო.

სიფრთხილით მიუახლოვდა ხალხი ბუღაკას ახოს, ალყა შემოჰკრეს. ბევრი უძახეს ხაწეს, მარა პასუხი არ ისმოდა,

მივიდენ ახლო პანტასთან, მაგრამ რა სანახაობა წარმოუდგა იმათ თვალებს: ბუღაკას, შვილივით ნაზარდი, ზაქები ღიძლ შვილზე უძვირფასესი მოამაგენი სასიკვდილოდ განგმირულნი ეყარენ პანტის ძირას და სულთბრძოლაში საცოდავათ გმინავდენ. ხაწე კი გარინდებულიყო შტერივით, თვალებ დაჭყეტილი პანტის კენწეროზე..

ხალხი მეტათ შეაწუხა ამ სანახაოობამ. ხაწე ჩამოიყვანეს ძირს. საბრალო სანახავი იყო. მან მხოლოდ ეხლა დაინახა თავისი შეცდომა: სირცხვილმა დასწვა, ჭირის ოფლმა დაასხა.

ხალხი კი დასტრიალებდა ამ საცოდაობას და იდგა ერთი ვიშვიში. თუმცა შიგა-და-შიგ გესლიანი ოხუნჯობაც ისმოდა.

— ღმერთის მადლმა, მარჯვედ კი უსროლია, ოთხი-ხუთი ყველასა აქვს დაკრული!—ჩა-ლაპარაკა იდამ.

— აჰაი, მარჯაყ, გოურ იაყ! (ჰაი, ჩოყაღ, ცხენი ჭამიაო)—ოხუნჯა ლაბაიმ და საერთო სიცილი გამოიწვია.

დაჭრილ ზაქების საცოდაობამ ყველანი შეაწუხა და ყელები დასჭრეს.

მას მერმე ხაწე საყოველთაო, ცნობილ გმირად გახდა. მთელმა ხეობამ შეიტყო მისი დარაჯობის ამბავი, მისი მარდი და სწორი სროლა, მისი უდრეკელი გულადობა და ვაჟკაცური გამბედაობა.

საწყალი ხაწე!

რა საბრალოთ, რა მწარეთ, რა თავის უბედოის დამადასტურებლათ გაიღიმებოდა ხოლმე, როდესაც ტოლ-ამხანაგები გაახსენებენ.

— ხაწე, როგორ იყო, ოთხი დათვი რო ერთად დახოცეო?!..

— საწყალი ხაწე!

ნარკანი.

რედაქტორ—გამომც. ე. ტურაბელიძე.

განცხადებანი

კაზმული მწერლობა—მხატვრობა—მუსიკა თეატრი.

„ფასკუნჯი“

სალიტერატურო—სამხატვრო ჟურნალი 1910 წლის

იანვრიდან გამოვა თვეში ერთხელ თვიური ჟურნალის სახით. „ფასკუნჯში“ დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, პიესები; კრიტიკული და ისტორიული წერილები კაზმული მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის და თეატრის შესახებ; ხელოვნების ქრონიკა, და

სურათები

ფერადი და ფოტოტიპიური ერთფერი.

„ფასკუნჯი“ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქართული ხელოვნების ნაშთებს.

გარდა ჟურნალისა ყოველს ხელის-მომწერს, რომელიც მთლად გადაიხდის წლიურს ფასს, საჩუქრად მიეცემა.

შოთა რუსთაველის

დიდი ფერადი სურათი (11—8 ვერშ. ზომით)

„ფასკუნჯი“ მონაწილეობს იღებენ: აკაკი, კ. აბაშიძე, შ. არაგვისპირელი, განდეგილი, ი. გომართელი, ი. ევდოშვილი, ან. ერისთავი-ხოშტარია, ნ. ლომაური, ნ. ნაკაშიძე, ი. ნიკოლაძე თ. რაზიკაშვილი, გრ. როგბაქიძე, ა. სარაჯიშვილი, სიტყვა ზ. ფალიაშვილი, ი. ფანცხავა, ალ. ხახანაშვილი, ვ. შალიკაშვილი, ალ. შანშიაშვილი, ტ. შევარდენაძე კ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე და სხვ.

ჟურნალის სამეურნეო ნაწილის (ბეჭდვა, დასურათება და სხ.) გამგენი არიან: კ. მესხიშვილის ლიტოგრაფია და „სორაპანის“ სტამბა.

ჟურნალის ფასი; წლით 5 მან., 6 თვით 3 მან. წლიური ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: თავში 2 მან, მაისში 2 მან. და სექტემბერში 1 მან.

ჟურნალი ნომრობით არ გაიყიდება.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში: კ. მესხიშვილთან, სორაპნის სტამბაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში პროვინციაში აგენტებთან.

ფოსტის ადრესი Тифлисъ, типографія „Сорапани“

რედაქტორ-გამომცემელი ს. ფირცხალავა.

ს ხ ი ვ ი

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები (როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი) ლექსები, კრიტიკული წერილები ლიტერატურაზე და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ: ნ. აზიანი, ახოსპირელი, ბ. გელა, კ. გოგოლაძე, ივ. გომართელი, ნ. ზომლეთელი, მ. ისსმანი, ბ. ირეთელი, ა. ლაღიონი, ლეო, რ. ლეჩხუმელი, ვ. მალაქიაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაჟდენიძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუხაძე, ფ. რუშაველი, ვ. ტუქსიშვილი და სხვანი.

ჟურნალი ეღირება:

ერთი წლით	—	— 5 მან.
ნახევარი წლით	—	— 2 მ. 50 კ.
ერთი თვით	—	— 50 კაპ.
თითო ნომერი	—	— 10 კაპ.

ვინც მთელი წლით გამოიწერს და იანვრის განვლამდე სრულად შემოიტანს ფულს

პრემიათ გაეგზავნება სტეპნიაკის მოთხრობა სახლი ვოლგის ნაპირზე

წიგნი ხელის მომწერლებს თებერვლის დამლევს დაურიგდებათ აგრეთვე დეკემბრის ნომრები უფასოთ გაეგზავნება.

რედაქციასთან მოლაპარაკება და აგრეთვე ჟურნალის გამოწერა შეიძლება თბილისში: სლეპტოვის ქ. ვერაზე სახლი № 1. „გუტტენბერგის“ სტამბის კანტორაში დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 5—7-მდე.

„მოამავლი“ს რედაქციაში ბ. კალანდაძესთან წიგნის მაღაზია „ალიონში“. ვასილ გალაბიასთან კირიჩნი ქ. № 9.

ქალაქ გარეთ:

ქუთაისში—წიგნის მაღაზია „იმერეთი“ ი. კვიცარიძესთან.

სამტრედიაში—რკ. გზის შკაფში ე. კოპალეიშვილთან.

ჭიათურაში—მასწ. ვ. ხუროძესთან.

ბათუმში—რკ. გზის შკაფში გ. მახარაძესთან.

ოზურგეთში—წიგნის მაღაზ. მ. თალაკვაძესთან.

ჩოხატაურში—წიგ. მაღ. ს. თავართქილაძესთან.

ხიდისთავში—ე. ლომთათიძესთან.

სად აჯიკაბუაში—ვარდენ ყიფიანთან და რკინის გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული დროებით ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: **Тифлисъ, Типографія Печатное дѣло Вельяминовская № 6. ул. Поліевкту Антоновичу Каландадзе.**

სტამბა „პეჩატ. დელო“. (ყოფილი ცისკრი). ველიამინოვის ქუჩა № 6.